



დროება

გაგონილი უნივერსალური ორგანიზაციის ბარდა

რედაქცია
 რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, № 2.
ხელის-მომწერად
 ქალაქი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, № 2.
 „დროება“-„ივერია“ შპს-ის
 წელიწადში 6 თვეს 30 ლარი
 3 თვეს 10 ლარი
 1 თვეს 3 ლარი
 „დროება“-„ივერია“ შპს-ის
 წელიწადში 6 თვეს 30 ლარი
 3 თვეს 10 ლარი
 1 თვეს 3 ლარი

შპსი განსახლებული
 ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, № 2.
 რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, № 2.
 „დროება“-„ივერია“ შპს-ის
 წელიწადში 6 თვეს 30 ლარი
 3 თვეს 10 ლარი
 1 თვეს 3 ლარი

პირველი ღვინოების მწარმოებელი ფაბრიკის
დაამუშავების
დროება
 დირექტორი მანუილ
ივერია
 ოთხი მანეთი
 „დროება“ და „ივერია“ ერთად
 შვიდი მანეთი

ტელეგრაფები

პეტერბურგი, 29 ოქტომბერი. დღეს დანიშნულია შარბედი გრუბა იმ კომისიის, რომელსაც სტამბის შესახებ განხილვის გადაწყვეტა მინდა ბილი.

პარიზი 28 ოქტომბერი. სამინისტრო გამოვიდა სამსახურადგან, რადგან უარი სთქვა, რომ დეპუტატთა პალატისგან განსახილველ საქმეთა სიაში ზინკულაძე ჩართოთ განიხილვის შესახებ სახელგანთავსების. ამბობენ, ახალ სამინისტროს თავად ბრძანებით იქნება დანიშნული.

დღეს მოვიდა ბრიტანული ნაპოვნები ლუიზა მიშელ. ხელის დიდის აღტაცებითა და თანაგრძნობით მიუგება ამ ქალს.

კავკასიის უნივერსიტეტი
 ტფილისი, 30 ოქტომბერს.

როდესაც პირველად ძველსავე უნივერსიტეტის გახსნაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ გვეგონა, იმისთანა უკუთურო არავინ აღმოჩნდებოდა, რომ ამის წინააღმდეგობა გამოეცხადებინა; გვეგონა, მთელი განათლებული რუსეთის საზოგადოება და მწერლები თანაგრძნობით, რითაც შეუძლიან, დაგვეხმარებინან. მაგრამ უკუთურობა რაღაცაა, რომელიც ალტაცებაში არ მოიყვანოს იმ გარემოებამ, რომ ჩვენ ერთ დროს საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი გვეგონება, რომლის შემწეობითაც ჩვენი ქვეყანა მსწრაფლად ნაბიჯით წინ წაიწეოს, წარმატებას ელირება.

მაე გვეგონა; მაგრამ, საუბედუროდ, შევცდით: ჩვენშივე აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც

ძველსავე უნივერსიტეტის გახსნაზედ უდროვოდ მიჩინათ, რომელიც თითქმის დასცინიან თბილისისა და ქუთაისის, რომელთაც 150,000 მანეთი შესწირეს ამ საქმის განსახორციელებლად!

მა გარემოება მით უფრო გასაკვირველია, რომ ამგვარი წინააღმდეგობა უნივერსიტეტის დაარსებაზედ ჩვენ ისეთი პირებისაგან და წყაროდან გვემდინა, რომლისგანაც ყველაზე უფრო ნაკლებად მოსალოდნელი იყო.

მაშენის „ძველსავე“ დღევანდელ ნომერში შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„რატომ ჩვენა ქაღალდი და სხვა საზოგადოებანი არ ქვეყნობენ, რუსულ ენის სასწავლებლად, პირველად დაწყებით სკოლების გახსნას? რატომ ამასზედ ვი არ ქვეყნობენ და ამას ვი სცდილობენ, რომ ახლაც გაიხსნას უნივერსიტეტი და ამისთვის სწირავდნენ (ნომინალურ) ფულს?“

მა მეორედ არის, რომ ამისთანა აზრი გამოსთქვა ჩვენმა ოფიციალურმა გაზეთმა.

სწორედ ესევე აზრი წარმოსთქვა ამ ორის კვირის წინათ მთ. ძალისიკურ ბიზნაზის დირექტორმა ბ. მარკოვმა, ხსენებულ გიმნაზიის წლიურ აქტის დროს ბ. მარკოვმა სთქვა, რომ „ჩვენი ქალაქის საზოგადოება არაფერს არ სწირავს გიმნაზიისთვისა და ძველსავე რაღაც მომავალ უნივერსიტეტისათვის კი მოხერხებითი (ფიქტიური) 100,000 მანეთი შესწირა.“

მა რომ ვისმე უმეცარს, განათლების მტერს, ძველსავე მხრის წარმატების მოწინააღმდეგეს ვთქვა, გასაკვირველი არა იქნებოდა-რა. გასაკვირველი ის არის, რომ ამას ამბობს გაზეთი, რომელიც ჩვენი მხრის საზოგადო საჭიროების გამოთქმელი უნდა იყოს; ამბობს კაც, გიმნაზიის დირექტორი. რომელიც გონებით განათლების მოსურნეთ რაზმში ყოველთვის ყველაზე პირველი უნდა იდგეს და რომელიც ამ განათლებისათვის ყველაზედ მხრეთ და დაუღალავად უნდა იბრძოდეს.

ჯერ პირველ-დაწყებითი სკოლები, მერე უმაღლესი სასწავლებლები! შევლგან და ყველა ხალხები რომ ამ ლოლიკით მოქცეულიყვნენ, უჭველია, რომ ახლა არსად, არც ერთს სახელმწიფოში უნივერსიტეტი არ იქნებოდა გახსნილი. საფრანგეთში, თვით ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკაშიც კი გრძნობენ პირველ-

დაწყებით სკოლების ნაკლებობას და თან-და-თან ხსნიან. ახლანდელი დრო, საუბედუროდ, ისეა მოწყობილი, რომ სამხედრო საჭიროებისათვის, ჭამისთვის, თოფ-იარაღისათვის ყველა სახელმწიფოებს, თვით განათლებასაც, ერთი სამად, ერთი-ხუთად და ზოგს ერთი-ათად უფრო მომეტებული ეხარჯება, ვინც სახალხო განათლებისათვის. ამიტომ ყველასთვის საგრძნობელია მდებარე და საშუალო სასწავლებლების ნაკლებობა.

მა ამიტომ „ძველსავე“ და ბ. მარკოვის აზრით, მაშ, არცერთ სახელმწიფოს არ უნდა გაეპართა უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები—განა?

პირიან ზოგიერთი ბატონები, რომელიც ბრძნულად ამტკიცებენ, რომ ჯერ ეკონომიურად, ნოვითერად დაკმაყოფილებული უნდა იყოს ხალხი და მერე ამ ხალხს გონებით გახსნას, ჭკუის გაფარჯიშებაზედ, სწავლაზედ შეიძლება ფიქრი და ზრუნვაო. მოვლად უფურო და მანებელი აზრია ეს აზრი: თავის დღეში ხალხი იმდენად დაკმაყოფილებული არ იქნება ნოვითერად, რომ ამ მხრით იმას არაფერი აღარ ეჭირებდეს, აღარაფერი დასაკმაყოფილებელი აღარ ღარჩნოდეს, მაშასადამე სწავლისათვის, ჭკუაგონების გახსნისათვის ვერასოდეს ვერ მოუკიდნია იმას ხელი-რაღა! ამას გარდა, განა ჭკუა-გონებისა და კუჭის, ზნობითი და ეკონომიურ მხრის დაკმაყოფილება დან-ძმანი არ არიან, განა ორივე ესენი ერთად არ დადიან, განა ერთი მეორეს არ ეხმარებიან, განა ერთმანეთს ხელს არ უწყობენ? განა, ერთის მხრით, განათლებული და გონება-გაფარჯიშებული კაცი ერთი-ორად უფრო მალე არ მოახერხებს თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას? მა, მეორეს მხრით, განა შეიძლება ეკონომიურ სიღარიბედიდან ხალხის დახსნა, თუ არ ისწავლის, თუ გონება არ გაიწრთენის?

ასე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული უმაღლესი და უმდაბლესი სასწავლებლები: თუ მდებარე სასწავლებლები არ არიან, მართალია, მაღალიც არ იქნება; მაგრამ მეორეს მხრით, ვერც უ-მაღალ-სასწავლებლებად მდებარეები იხიერებენ. შრის მეორე ხელს უწყობს, ეხმარება, წარმატებაში შევყავს და მეორე პიდევის.

მა უბრალო კომპარატივად ვე-უგიათ ჩვენში ზოგიერთებს. იქნება გაუგიათ კიდევ, მაგრამ სხვა რამ აზრი, სხვა რამ გარეშე მიზანი აქვს მხედველობაში, როდესაც უნივერსი-

ტეტის წინააღმდეგს ქადაგობენ და სწერენ...

მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა, რომელსაც, გარდა ხალხის გონებით და ნოვითერად წარმატებისა, სხვა რამ გარეშე აზრი არ უნდა ჰქონდეს, რამდენათაც შეიძლება მალე გაგვიხსნის ძველსავე უნივერსიტეტს.

იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ჩვენი საზოგადოება და სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, რომელსაც რითიმე დახმარება შეუძლიან ამ საქმეში, ზემოხსენებულ პირებს არ გაუგონებენ და რითაც შეუძლიან ხელს მოუწყობენ ძველსავე უნივერსიტეტის გახსნას...

ახალი ამბები

რუსულ გაზეთში იწერებიან, ძველსავე პომიტეტმა სახელმწიფო რჩევას გარდასცა განსახილველად თავის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც ძველსავე მხრის ღვინის მწარმოებელთა საკუთარის ღვინის გასყიდვაში მიეცეს იგივე უპირატესობა, რაც სტავროპოლის გუბერნიის შუბანის და მთავრის მხრის ღვინის მწარმოებელთა აქვს.

მაგლილ კვირას, როგორც განცხადებამ გეცნობა, ალექსანდროვის ბაღში დანიშნული იყო „სახალხო სეირნობა“ წყალში დაღუპვისაგან მშველელ საზოგადოების სასარგებლოდ. ნასადილგვის მეოთხე საათზე დაიწყო სეირნობა და თითქმის შუალამემდინ დიდ-ძალი ხალხი ირეოდა ბაღში, რომელიც კარგათ გაჩირადნებული და ფერად-ფერად ფარებით შემკული იყო. რამდენიმე მაშასალა-უმეცს და ორი აეროსტატი. რამდენიმე ხორო სახედრო მუზიკისა უკრავდა, აგრეთვე ზურნა, მომღერლებიც შემოსავალი, როგორც გვითხრეს, სულ 1800 მანეთზე მეტი უნდა დარჩენილიყო.

მოთავენი ამ სახალხო სეირნობის იყვნენ: პოლკოვნიკი აბეზიანი-ნოვი, პოლკ. პომაროვი, ზლობე და საზოგადოების წევრი ქასუმოვი.

ახალიციხიდან იწერებიან, რომ, იქაურ ძაზრის უფროსის ბატ. ნ. ალექსეევი-მე ხივის მეცადინეობითა და თაონობით! ოფ. ადგილურში მობლანის ხეობაში იხსნება სასოფლო სკოლა; სოფელს შეუდგენია განაჩენი, რომლითაც, ამ სკოლის სასარგებლოდ, რუდამ წელიწადს 350 მა-



ნეთის მოკრებას ჰკისრულობს და ამას გარდა სადგომსა და შეშას.

იქიდანვე იწერებინა, რომ რადგან ხსენებულსავე სოფელში აღიგიურში ორ-კლასიან სასწავლებლის განხასხას აპირებენ, ამის გამო სოფელი ამ მომავალ სასწავლებლისათვის 3,200 მანეთად სახლის ყიდვას შეუდგაო; მაგრამ რადგან სოფელს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ამდენი ფული ერთად გამოიღოს, ხაზინიდან უნდათ იღებონ იმ პირობით, რომ სამისწლის განმავლობაში გარდაახდინ.

* *

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ერთს ჩვენი მწერლობის მიყვარეს განზრახვა აქვს საუკეთესო ქართულ მწერლების სურათები იმოგვოს და ყველა ერთად ამოაჭრეინ. ჩვენ დაგვისახელოს ის მწერლები, რომელთა სურათი იქნება ამ გრუპაში: შოთა რუსთველი, ლ. ზურაბიშვილი, ნიკ. ბარათაშვილი, ალექს. ჭავჭავაძე, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ზრ. მარტვილიანი და რაფ. მრისთავი.

პარგი აზრია და, უეჭველია, რომ ამ გრუპის გამომცემი არც წავებაში დარჩება...

* *

ზ.ზ. „მშაკში“ სოფ. ტუმბილამ იწერებინა, რომ ამ მოკლე ხანში აქ ეკლესია გაქურდესო. იმავე სოფლის მამასახლისს უჩივიან, რომ ხალხს ერთობ აწუხებსო.

* *

ჩვენ გვაცნობდნენ, რომ ამ დღეებში ჩვენს ქალაქში გარდაცვლილა ერთი 112 წლის მოხუცებული ქალი, რომელსაც ძალიან კარგათ ახსოვდა მეფე ირაკლის სიკვდილი, ალა-შაჰა ხანის ოფილისში შეპოხვლა, ანტონ ათოლიკოზის სიკვდილი და ბევრი სხვა თავის დროის ისტორიული ამბები.

„დროშის“ კორაჟისპონდენცია

შორაპნის მარა, 29 დეკემბერი. ბევრი მოხუცებული ამბობდა წარსულ ზამთარში, რომ ამისთანა ცუდ ზამთარს არ მოვსწრებიათო. მხლაც მრავალ პირთაგან გიგონებო, რომ ამისთანა მშვენიერ და უხე მოსავლიან შემოდგომას არ მოვსწრებიათო.

ამ თვეს ღვინობისთვის მიტომ ეძახიან, რომ ღვინის მუშაობა არის ხოლმე. წარსულ წლებში ენკენის-თევში ღვინის სოფელი გათავებული იყო ხოლმე; ამისათვის, მართლა, ღვინოც ბევრი ფუტკბობდა სიციხისაგან. ახლა სწორეთ თავის დროზეა სოფელი. ღვინო ძლიერ ბლომით მოვიდა და კარგიც დგება. შვი მონავალია სიმინდისა.

ხალხი ძრიელ მადლიერია ამ წლისა: მოსავალი მშვენიერი. შემოსავალი შავი ქვიდამ—კარგი, თუმცა გაჭირვებით და დიდის ოფლით. მეტი რაღა უნდა?

მაგრამ ქვირილის გზის კეთებაჲ კი

ძლიერ შეაწუხა ხალხი. შეაწუხა მიტომ, რომ თავის საკუთარი და მეტის მეტი საჭირო მუშაობა დატოვებინეს და გზების კეთებისათვის გამოირყეს; არ დააცალეს თავისი ნამუშევრის შენახვა...

ჩვენი ეფიშოვსკი მოგვითხრობდა გავსეთ „ტავკაში“, რომ შორაპნის გლეხებმა შავი-ქვის ზიღით ბევრი ფულები აიღესო და ყვირილის გზის წყალობით კარგად ისარგებლესო. იმის მამოანგარიშებით გლეხებს შემოსულია სარგებლობა 50 ათას მანეთამდე შავი-ქვის ზიღით. ამაში ვერწმუნებით მას. მაგრამ უნდა იცოდეს ბატ. ეფიშოვსკიმ, რომ მართლა შორაპნის მახრის გლეხებს არ მიუღიათ ეს ფულები. ნახევარზე მეტი ამ ფულებიდან მიიღეს ხონელებმა, რომელნიც აქ მოვიდნენ და ზიღენ ხარკამბეჩებით შავ-ქვას.

მაგრამ ჩვენის ანგარიშით სარგებლობაზე მეტი ზარალი მიეცათ გლეხებს. აი როგორ: თითო კაცი გლეხი თავის ოჯახისათვის მანეთზე მეტი ღირს; თავის ოჯახზე მუშაობის მოკლებით მანეთზე მეტი ზარალი აქვს. მა შემოდგომის დრო დიდათ ღირს გლეხისათვის, თორემ სთველს შემდეგ კიდევ არაფერია. შოველ დღე ორი-ათასზე მეტი გამორჩეული მუშა ადგია ქვირილის გზას. ატერ ორი თვე შესრულდება, რაც ამ გზაზე მუშაობს ხალხი. ახლა ვინგარწმობთ თითო მანეთი გლეხზე დღიური ქირა ანუ მისი ოჯახის ზარალი. 2000 გადამრავლოთ ორი თვის დღეების რიცხვით 2000 + 60 = 120,000. აი ამდენი მანეთის ზარალი მიეცა ჩვენ გლეხებს ამ ქვირილის გზის მუშაობით. უქმე დღეებიც რომ გამოვრიცხოთ მაინც 100,000 მანეთს შეადგენს. ქველზე მომეტებული რატ. მერცენაყელდის მოუზრავები არიან, რამდენიც კარგად ბლომად ფულებს იღებენ!...

ეფიშოვსკი ამბობს: „მე მიბრძანებენ, რომ ბატ. ლენჩევსკის ქვირილის გზის გაკეთება აქვს მიზნობილი ექვსი თვის ვადითო და რაც საჭირო მუშა დასჭირდეს მიეცითო; მეც ბრძანებას ვასრულებო“. მართალია, ბატ. მერცენაყელდი შეეკრა კანდახტით ბატ. რენინერს ლინჩევსკის, რომ ექვს თვეში ქვირილის გზას გაეკეთებინებთა და ლინჩევსკი შეეკრა 700,000 ფუთი შავი-ქვის გადმოტანას; მაგრამ დიდი სიუფნურე იქმნება კაცმა იფიქროს ექვს თვეში იმ პლანზე ქვირილის გზის გაკეთება, როგორც ბატ. ლინჩევსკის სურს....

ბატ. გუბერნატორი მობრძანდა ამ დღეებში დაბა ქვირილაში. აქედამ ჭიათურაში წაბრძანდა და ერთი ღამე დარჩა. იქიდან ბატ. ნესტორ წერეთელმა მიიწვია, მეორე დღეს მიიწვია ბატ. ლავთ წერეთელმა; მესამე დღეს ჭიათურაში ბატ. ბორჯი ლაბერძენი მიიწვია. ქველგან დიდათ ილაშქრნა. დაბრუნდა და ჭიათურაში წაბრძანდა. წერეთლებს დიდი მადლობა შეუწირავს ქვირილის გზის კეთებისათვის. როგორც ამბობენ, ეფი-

შოვსკისათვისაც მადლობა უთქვამს... ეფიშოვსკის მართლა მადლობა უნდა შესწიროს კაცმა, თუ ხაზინიდან ფულები არ მიუღია დღემდის და ქვირილის გზა ხაზინის დაუხმარებლათ გააკეთებინა გლეხებს! მაგრამ ძლიერ გვიკვირს—საიდან მოიგონა ბატ. აკაკიმ ეს? როგორ ვერ გიგო ამ დალოცვილმა, რომ ხაზინიდან ქვირილის გზის გასაკეთებლად ბლომით აქვს ფულები მიღებული? „ეფიშოვსკის ხაზინის ფულებით არ უსარგებლებიაო“, ამბობს აკაკი. ზღვებებს რომ მუშაობდნენ ათავისუფლებდნენ, იქიდან შემოსული ფულები ანგარიშს სთხოვს ეფიშოვსკის. ეფიშოვსკი რომ ამ გვართ გლეხებისაგან აღებული ფულებით არ ისარგებლებდ, ამას ქვირილის სიბი კლდეებიც კი დაამოწმებენ!.. რამდენათაც ვიცნობთ ჩვენ ეფიშოვსკის, ამას ის არასოდეს არ იკადრებს და დიდი უგუნურობა იქმნება, ვინც ამისთანა ექვს შვიტანს მასზე.

ბორჯი ენები ამბობენ, რომ ხაზინიდან მიღებული ფულებით ისარგებლესო. მთელ ჩემს ჰაზრით არაფერია! ნათქვამია: „რომელ საზოგადოებაშიაც იყო, იმ საზოგადოების ქული უნდა დაიხურებო“. რა წესიც სუფევს სხვა-და-სხვა უწყებებში, როგორათაც სხვები ეყრებიან ხაზინას, ისე ეს ეყრება... მეტი ამისგან არაფერი არა გამოსულა რა!.. ბ. ეფიშოვსკიმ ამას წინათ სთქვა: „მე რომ წავალ მომინატრებთო!“ სწორეთ მართალს ამბობს. მართი ექიმი გვეყვება და შორაპნში. არაფრათ ვაგდებდით. უკეთესი გვიწოდდა. წავლის დროს გვიტახტა: „ჩემისთანა ექიმი შორაპანში ვერ მოვაო“. იმდენი სიცოცხლე შენ გაქვს, მკითხველო, რამდენი ის ჩვენ მოვინატრეთ! ღმერთმანი, ასე დაგვეპარტება ახლაც!..

ექიმი ვახტანგ და ორიოდ სიტყვას ამახედვ ვიტყვი. ხმა გავარდა, ჩვენი ექიმი ბერნო გადაწყვესთ სადაცა გეოქნაშიო. მცხოვრებლებს, ცოტა არ იყო, ეწყინათ ეს ამბავი. შედგინეს თხოვნა და მრავალმა პირებმა მახრის მარშლიანათ მოაწერეს ხელი და მიართვეს გუბერნატორს. სთხოვდნენ, რომ არ გადაეყვანათ შორაპნის მახრიდან. „ბერნოს ხაზინათა და იმსახურა ჩვენი ყურადღებაო, მან იცის ქართული ენა და გთხოვთ ნუ მოგვაშორებთ ამისთანა ექიმსა“. მაგრამ ამ თხოვნამ, ვგონებ, უარესათ აწერა მას! მანც გადაეყვანეს და მის მაგივრათ დაგვინიშნეს ვილაცა მლიაგინი, რომელმაც ქართული ენის ერთი ნიჩი რიცის. ბერნო იმისთანა ადგილას უნდოდათ გადაეყვანათ, სადაც ქართული არ იციათ, მაგრამ როგორც გავიგეთ ექიმობის წოდებიდან სულ გამოდის.

მრშობათს ქვირილაში სადილი გაუკეთეს მას, სადაც ახალი შორაპნის ექიმიც ბრძანდებოდა. ბ. ბერნომ მადლობა შესწირა ყველა იმ პირებთა, რომელთაც ამისთანა სურვილი და პატივისცემა გამოუცხადეს მას და იმა-

ნაც სთქვა: „მე გადაეყვანათ, ჩემდა უნებურათ, და ძლიერ ვწუხვარ შორაპნის საზოგადოების მოშორებას; ნამეტნავად ვსწუხვარ იმაზე, რომ ბევრი მინატრებს გაჭირვების დროს და მომიგონებს!“ ბერნო როგორც კაცი კარგი ხასიათის იყო და როგორც ექიმი არაფერი სანატრელია და ამაზე ტყუილად სწუხს ის და მოვირიდება შორაპნელების შეწუხებას!..

რაჭველებს ძლიერ უდღესასწაულნიათ ბ. მლიაგინის მოშორება, მაგრამ შორაპნელებმა რა დავაშავეთ არ ვიცით! მაზეთებმა უნდა მიატკიონ ყურადღება ამ შესანიშნავ მოვლინებას. თუ რომელიმე უმფროსი ცუდათ იქცევა, მცხოვრებლებს საქმეს უჭირვებს და, ერთის სიტყვით, სადაგელი კაცია, ის კი არ უნდა აძაგონ, თანამდებობიდან დათხოვნი კი არ უნდა ითხოვონ; ის უნდა აქონ. მაზეთებშიაც უნდა დაუწეროთ: ძლიერ კარგი კაცია თქო, ქართველები უყვარს თქო, ძლიერ გვსურს, რომ სულ ჩვენთან დარჩეს თქო. თუ ასე მოიქცა საზოგადოება, დარწმუნდით იმ პირს გადაეყვანებენ სადმე!..

აკაკის სიტყვის არ იყოს; უკუღმა დაბრუნდა დრო და უკუღმართათ უნდა იქცეოდეს საზოგადოებაც!... მაგალითები ხომ ბევრი გვაქვსთ წინ?..

დ—ნ—დ—ქ

P. S. მიროვისპოსტდენიკები სწუხან ძლიერ, რომ იმათზე არაფერი იბეჭდება „დროშაში“! მათთან უკაცრავათ ვარ, მართლა, მაგრამ რა გქნა შორაპნის მახრაში სამი მიროვის პოსტდენიკია და არცერთი არ ცხოვრებს შორაპანში, — მთუთაში ბრძანდებიან, გარდა ერთისა, რომელიც შორაპნის მახრაში სცხოვრებს; მაგრამ დროებით დათხოვნილია. ხანდის-ხან მოვილიან ხოლმე შავის რაიონებში, მაგრამ მალე წავლენ ხოლმე და ვერ შევასწარი შინ, რომ მათი ამბები შემეტყუო.

დ. დ.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! ამ მოკლე ხანში ერთის მეწერიმლის დუქანში ენახე ხელთ-ნაწერი მოკლე საქართველოს ისტორია, რომელიც ამ მეწერიმლისთვის ქალაქის ფაშათ მიეცილნათ. რამდენიმე ძველი ქართული ხელთ ნაწერი წიგნები ყოფილიყო და სხვათაშორის ეს ისტორიაც მათში, რომლის ბოლო უკვე მოცხიათ და სახმარებელ პარკებთა გაეკეთებინათ.

ისტორია იწყება პირველ დაწყებით საქართველოს ერის ცხოვრებლად და თავდება მეთერთმეტე საუკუნის დასასრულამდე. მანარჩენი შემდეგი მოუხევიათ. როგორც ერთის ფურცლიდან ჩანს, ეს ისტორია დაწერილია 1826 წ. მით ფურცელზე მიწერილია შემდეგი შენიშვნა:

„მა წერილი არს ჩართული საეკლესიო წიგნში, რომელიც ითვლება ნესტორ წერილის სხლში და რომელსაც აქვს ეს შენიშვნა.“

ამ შენიშვნებში მოყვანილია, რომ გადუწერია ვიღაც პროთოიერეი იოსებ ზაქარიას-ძესა. მეორე ფურცელზე შემდეგი შენიშვნა:

„არსიანდრიტმან ბენათისამან ზაქარიამ, რათა უცხადეს იყოს ცნობად ყოველთა მიერ წამკითხველთა და სწავლის მოყვარეთაგან წელ. ჩ. ყ. ე. ბ. თვეს ნოემბერსა ა—ს. ხოლო მე პროთოიერმან იოსებ ზაქარია მოძღვრის-ძემან განაჩინა ვადმოვსწერე, ვედრებით მთხოველმან აღმოაჩინებულთა შენდობის მიერ, წ. 1823 მარტს 19 ექსორიობასა შინა მყოფმან ქალაქ ბელაგორდსა, მონასტერსა შინა წმიდასა და საკურველთ-მომკმედისა ნიკოლოზისა.“

ამ სიტყვების შემდეგ აწერია „ბაქრაძე.“ არ ვიცი—ეს რომელი ბერი ბაქრაძე უნდა იყოს.

უქვევლია, რომ ეს პირი ანტონ II საქართველოს ძათალიკოზთან უნდა ყოფილიყოს, რომელიც სცხოვრებდა ზემო ნახსენებ გუბერნიამი და რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა დაჩა იქ და ღვთისა ან ვატით სად დაიკარგა და რაიქნა.

ახლა მივმართავ ყველა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მოყვარულ პირებს, რომ თუ იციან რამე ამ წერილში ნახსენებ პირებზე, რამე ცნობა და ან შეკითხვებით სადმე ამისთანავე იტორია, წარმოადგინონ თბილისს „ლორეა“-„ნივერის“ რედაქციაში და ან ჩემსა—მალაზი ში.

მანახალი ენაა და სენ-მარტენი და რამოდენიმე სხვა და სხვა ამ საუკუნის მეოთხის ისტორიკოსებსაც ახსენებს.

იმედი მაქვს, რომ ამ წერილს ყურადღებას მიუქცევენ აგრეთვე ნესტორ წერილის მეკვიდრეები და მცნობები, რადგანაც ეს ისტორია ამ რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოიცემა ცალკე.

წ. ჭიჭინაძე.

28 ოქტომბერს

რუსეთი

ს. პეტერბურგი, 23 ოქტომბერი. მს თითქმის სამი კვირაა, რაც ჩემს სამშობლოს გამოვესალმე და დეზბრუნდი ღროვებით ჩემს სადგურ ქალაქში—პეტერბურღში. ამ სამ კვირას ბევრი რამა ვნახე: ზოგი გასაკვირველი, ზოგი საფუქრელი და სამწუხარო. როგორც აღვთქვი, ჩემს საყვარელი მკითხველო, მიხდა ეხლა ზოგერთი აქაურა ამავე შეგატყობინო. არ ვიცი კი—საიღამ დავიწყო. მოდი ისევ ჩვენ ქალაქიღამ დავიწყო.

ჯერ უნდა გავიტყუდე და გითხრა, რომ ისე გულ-მოწყვეტილი და ნაღვლიანი არაოდეს არ გამოვეგზავრებულვარ პეტერბურღში, როგორც

წერილს. ბევრს ვეცადე, ბევრი ვიქევი თავი, მაგრამ არა მეშველა—რა, ამის მიზეზი ვერ შეიტყე. ბოლოს მივანებე თავი ჩემს ნაღვლიანს გულს!..

იმ დღეს, რა დღესაც თბილისიღამ გამოვიდოდი, მშვენიერი დარიღგა. უღრუბლო ცა, ქვეყნის გამაბრწყინებელი და მაცოცხლებელი მზე, ჩიტთა სასიამოვნო ღვინო, კიკიკი ალექსანდროვის ბაღში სრულდებით ზაფხულის დღეს მომავონებდნენ. და მართლათაც წილიკნსა და ლუშეთს შუა სიციხით კარგტაში აღარ ვიცოდით რა გვექნა, ისე შეწუხებულნი ვიყავით. შევნატროდით იმათ, რომელნიც გარეთ ახდით ადგილებზედ ისხდნენ.

მოგზაურთ შუა კარგტაში ერთი ქალაქელი ოხუჯი სომეხი შემხვდა. ღმერთმა უშველოს, ბევრი სასაცილო ამბავი შიამბო და ამით ცოტაოდენი სველები შემიმსუბუქა.

ბუღაურთგან კი მლაღიკავკასამდინ გამოგვეცვალა ამინდი. ღაგვიღგა საშინელი სიცივე, თოვლი, ქარიშხალი, ბუქი და მტვერი. მაშინ კი ვცანი, რომ შუა კარგტაში ჯდომა უფრო კარგი იყო გარეთ ადგილებზედ.

მლაღიკავკასს რა მივედით, სწორეთ შემოდგომის საღამო იყო. მეორე დღესაც ღრუბლიანი შემოდგომის დღე დაგვიღგა. როსტოვამდინ არაფერი, სულ შემოდგომა იყო. როსტოვა კი რომ გამოვცდით, ცა შავი შავი უგემური ღრუბლებით შეიმოსა, ყოველისფერს ნაცრის ფერი დაეღგა, ცოტ-ცოტა წინწკლა დაიწყო, პატარა ხანს უკან წვიმათ გადაიქცა და შემდეგ რამდენიმე ხნისა ზედ დაერთვა ერთი სუსხიანი ქარიშხალი, რომელიც შეუწყვეტელათ პეტერბურღამდინ არ მოგვეცლიებია. მოსკოვს რომ მივახლოვდით ის წვიმა თოვლათ გადაიქცა, იმ ქარიშხალმაც ჩვენი პოეზი ხუთი საათით დააკვიანა. მოსკოვში 6 საათის მაგივრათ ორ საათზედ შევედით.

იმავე დღესვე ჩავჯექი მაშინაში და პეტერბურღისაკენ გამოვემგზავრე მეორე დილას რომ გამოვიღვიძე პეტერბურღს მიახლოებული ვიყავით. აქ კი მთელი ბუნება თეთრ სუღარში იყო განხვეული. ამასთანავე ქარიშხალი, თოვლის ბუქი და ყინვა კაცს შუა სუხიან ზამთარს მოაგონებდნენ. პეტერბურღში რომ შეველ და ვნახე ეს ამავეი, არა მჯეროდა—თუ ამ ოთხი-ხუთი დღის წინათ მშვენიერ მზისაგან გაბრწყინებულ ჩვენ სამშობლო ქალაქში ვიყავ. მხლა კი შუბაში განხვეული სანით ჩემ ბინისაკენ მივემუხრებოდი.

აი მაშინა რა არის. ხუთ დღეში ზაფხულსაც მაჩვენა, შემოდგომაც და ზამთარიც!

ამ გვარ ნაადრევ ზამთარს აქ დიდი ხანი არ მოსწრებია, მთელ რუსეთს დიდი ზარალი მოუტანა ამ ადრე დაზამთრებამ: მრავალი გემები, პური და სხვა ხორაგეულით სავსენი, ყინვას გაუჩერებია უადგილო-ადგილებში. არ იციან რა საშუალობა მიიღონ,

როთი უშველონ. ზოგ მდინარეში დიდი ყინული დაიძრა, ზოგი გაჩერდა. მემები ვეღარ მუშაობენ და არიან ისეთ ვაჭირებამი.

ამის გამო უწინდელ სიძვირეს ერთი-ორათ სხვა მოემატა. ასე გამოჩვეთ უზარალო შავი მქავე ქვეყნის პური გირვანქა ეხლა ექვსი კაპეცია; ამბობენ, ორ შაურამდინ აიწვესო.

ღარიბი ხალხი დიდ შეწუხებაშია. აქაურ ძალაქის რჩევასაც არა აქვს დაშადებული ამ შემთხვევისათვის პურის მალაზიები და ამის გამო დიდ შეწუხებას მოელიან. სხვა ხორაგეული სიძვირესაც ნუღარ იკითხავთ. ამ წყევლმა ოსმალის საქმეც ძრიელ დასცა ჩვენი ფული. ამ გვარი ფულის დაცემა ზღვის ტალღასავით მოხდა ყოველ საქმეს. შევლვან ჩივილი ისმის. მაჭარი იძახის: ვაჭრობა არ არის, ქესატობაა. ჩინოვნიკი ამბობს: სიძვირეა, ცხოვრება ვაჭირდაო. ადვოკატი — საქმეები აღარა გვაქვსო. შარალო ხალხი—გვაჭამეო რამე, მშვიერი ვართო. მარტო ექიმებს და მღვდლებს დაუდგათ ეხლა ამინდი. შრთის სიტყვით, ყველა ლოცულობს: ღმერთო, ამ ნაჯ წელიწადს მალე გადავანარჩუნეო. მანათ—როგორ ასრულდება იმათი ლოცვა.

ღრუბითი შეტყნბურღელი.

P. S. ბუშინ დამავიწყდა, ვერ გითხარი, რომ ბ. ცაგარელის თხზულებას პქვიან „სამეგრელოს ეტიუდები“. რა მშვენიერი სახელია—და!..

უცხოეთი

ფრილი აგგაბი. Neue Freie Presse-ის სიტყვით, მლადტონის განზრახვა აქვს, როგორც კი ღულციწიო გადაეცემა ჩერნოგარელებს, მაშინვე წინადადება მისცეს მეოთხის სახელმწიფოებს, რომ აღიარონ ალბანიის დამოუკიდებლობა იტალიის მფარველობის ქვეშ. ინგლისის პარიფელ და რომაელ ელჩებს ამის თაობაზე პროექტები წარუდგენათ საფრანგეთის და იტალიის მმართველობათათვის. მლადტონის აზრით რუსეთი წინააღმდეგი რ იქნება ამ პროექტისა.

Standard-ის აზრით, მლადტონის პოლიტიკა საშინლად დამარცხებულია ამ ქამად. ამის მიზეზი ის არის, რომ მას არ უზრუნავს ინგლისის, გერმანიის და ავსტრიის შორის მტკიცე კავშირის შესაკრეოდ. სხდია, რომ ინგლისმა ვერაფერი გაარიგა ესრედ წოდებულს „მეოთხის კონცერტში“, რომლიღამაც ეხლა მარტოდ-მარტო, უმეზავოდ გამოდის.

მაშხიტას უთქვამს გერმანიის პარიფელ ელჩის მოადგილესათვის. რომ საბერძნეთის საქმის გადაწყვეტა ახლა ყოველად შეუძლებელიაო.

პეშტში, რეისრატის [დღეგანაჩინს] სხდომის დროს, ერთს დღეღგატს წარმოუთქვამს სიტყვა, რომლითაც ამტკიცებდა, რომ, რადგანაც მომავალში საფრანგეთი აუცილებლათ ასტყხს ომიანობასაო, ამიტომაც საქირია ბერმანიის და რუსეთს დაუკავშირდეთო ამანედ მეორე ორატორს უზასუნია, რომ არამც-და-არამც არ შევეყარო რუსეთს ზავითაო, მასთან კავშირს სხვა სახელმწიფოების მტრად გადაკიდება სჯობიაო.

„რეიტერის სააგენტოს“ ათინიღამ ტელეგრამით ატყობინებენ, იქ მისულა ახლად მოგროვილი 260 ჯარის კაცი, რომელთაც ბაირაღებით ჩამოუვლიათ ქალაქი, შემდეგ მეფის სასახლესთან მისულან და დაუწყიათ თხოვნა, რომ ოსმალეთს მალე გამოუცხადონ ომი.

მანდაარიღამ გაზეთს Itendard-ს აცნობებენ, იქ შეუტყვიათ, რომ სპარსეთი ჩუმ-ჩუმათ ეხმარება ინგლისელების წინააღმდეგ მებრძოლს მიუბნანს.

განცხადებანი

ჯანჯულაჯოვის სამხეობის კონაშურის უზრავღენის განკარგულებით ჯანჯულაჯოვების დიდს მალაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე, მირიანოვის სახლებში გაისიდეება სხვა-და-სხვა საქონელი და თუჯის ფაქები ნარდათ და ცალკე-ცალკე მუღამ დღე დილის 10 საათიღამ ნაშუადღევს 2 საათამდინ და საღამოს 5-ღამ 8-მდინ.

კურატორა პ. ლეპიდინსკი. 5-1

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შეადრეთ ჩვენი ხაი—1 შ. 10 კ. მოსკოვის ხაის—1 შ. 40 კ

— — — 1—20 — — 1—60
— — — 1—40 — — 1—80
— — — 1—60 — — 2—
— — — 1—80 — — 2—50
ს. ლუკეთსო—2— „ — — 3— „
იქვე ისიდეება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურტყელი, ჩაინები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალღლი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მუზამები, მაგნეზია, უნაგირიბი, კლიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-ღამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მალაზიაში.

მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიღამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—49)

ტფილისის გუბერნიის თავად-ან-ნაურთა საადგილ-გაგულო განკისპან.

ტფილისის გუბერნიის თავად-ანაურთა საადგილ-გაგულო განკისპან სამართავლო, უხენაესად დამტკიცებულის ამავე განკისპანის წესდების § 16 ძალით ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 27-ს ცხლანდელ 1880 წ. შუადლის 12 საათზე, ტფილისში, განკისპან სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე პ. შარდანიანის სახლში № 3 ქვეშ დანიშნულია საზოგადო ვაჭრობა. დრო გადაუდებლად, ქვემო მოხსენებულ პირთ უძრავ მამულთა, რადგანაც მათ არ შემოიტანეს ამ განკისპანს ვაჭრობის სესხის ვადის გადასახდელი განკისპანის წესდების 29, 30, 34 და 86 § § მებრ.

ანდრანკოვ, რევაზ ივანესძე სამ-სართულიანი ქვის სახლი, მეზონინითურთ და სარდაფი 612 ოთხ-კუთხ. მიწით 1 ნაწილში 2 განყოფილებაში. მ. ტფილისში საპირის ქუჩაზე ძირითადი ვალი 12,118 მან. 26 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 1550 მ. 67 კ სულ ცამეტ ათასი ექვსას სამოც-და-რვა ოთხმოც-და-ათი კაბ.

ფაქლეჯი, მიხეილ ნიკოლოზის-ძე ერთ სართულიანი ქვის სახლი 14 1/2 ოთხ-კუთხი მიწით, 4 განყოფილებაში. მ. ტფილისში ვანქის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 639 მან. 80 კ. გადაუხდელი ხარჯი 56 მ. 61 კ. სულ ექვსას ორმოც-და-თერთმეტი მან. ორმოც-და-ერთი კაბ.

ფაქლეჯისა, მარიამ ანდრეევნის ერთ სართულიანი ქვის სახლი 28 ოთხ-კუთხ: ქვის სახლი 12 ნაწილში 2 განყოფილებაში ქ. ტფილისში, ჩუღურეთში. ძირითადი ვალი 365 მ. 64 კ. გადაუხდელი ხარჯი 55 მან. 80 კ. სულ ოთხას ოც-და-ერთი მან. ორმოც-და-ოთხი კაბ.

ხანჯაძე, მირან შვიდონის-ძე ორ სართულიანი ქვის სახლი 54 85/100 ოთხი-კუთხი საფ. მიწით 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში. ძირითადი ვალი 3656 მან. 8 კ. გადაუხდელი ხარჯი 374 მან. 80 კ. სულ ოთხი ათას-ოც-და-ათი მან. ოთხმოც-და-რვა კაბ.

სლანკა, ანა ივანეს ასული, ორი ორ სართულიანი ქვის სახლი 111 1/2 ოთხ-კუთხ. საფ. მიწით 11 ნაწილში 2 განყოფილებაში ქ. ტფილისში. ძირითადი ვალი 18,476 მან. 14 კ გადაუხდელი ხარჯი 964 მან. სულ ცხრამეტი ათას ოთხას ორმოცი მან. თოთხმეტი კ.

ერასთავა, ალექსანდრე პავლეს-ძე წისქვილი და მასთან სადგომი 5610 ოთხ-კუთხი საფ. მიწით ქ. შორში. ძირითადი ვალი ექვსი ათას ოთხას სამოც-და-ექვსი მან. 63 კ. გადაუხდელი ხარჯი 343 მან, 90 კ. სულ ექვსი ათას რვაას ათი მან. ორმოც-და-ცამეტი კაბ.

ამელიაძისა, ნინო ივანეს ასული, ორი ნაკვეთი მიწა 200 ოთხ-კუთხ. საფ. შენობებით: პირველ ნაკვეთზე ორ-სართულიანი ქვის სახლი, ორ-სართულიანი სახლით მოსამახურეთათვის, ორ-სართულიან ფლიგელით და ერთ-სართულიანი ქვის სახლით. 2 ნაკვეთზე ორი ერთ-სართულიანი ქვის სახლი, 1 ნაწილში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში ოლგინის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 6,466 მან. 64 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 343 მან. 90 კ. სულ ექვსი ათას რვაას ათი მან. ორმოც-და-თოთხმეტი მან.

გაგინაძე, მკრატე ნიკოლოზის-ძე. რამდენიმე ერთ-სართულიანი სახლები 115 ოთხ-კუთხ. მიწით. 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში მთაწმინდის ვორს. ძირითადი ხარჯი 652 მან. 68 კ. გადაუხდელი ხარჯი 55 მან. 91 კ. სულ შეიდას რვა მან. ორმოც-და-ცხრამეტი კაბ.

ზაფლიევი, იაკობ სიმონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი 72 ოთხ-კუთხ. საფ. მიწით. 5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისში ნემენცის ქუჩაზე. ძირითადი ვალი 5,593 მან. 48 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 670 მან. 73 კაბ. სულ ექვსი ათას ორას სამოც-და-ოთხი მან. ოც-და-ერთი კაბ.

სლანკა, მკრატე ივანეს ასული. სამ-სართულიანი ქვის სახლი ფლიგელით და მიშენებებითურთ, 313 3/4 ოთხ-კუთხ. საფ. მიწით. 1 ნაწი. 1 მიხაილოვის განყოფილებაში ქ. ტფილისში. ძირითადი ხარჯი 26,152 მან. 82 კაბ. გადაუხდელი ვალი 2,889 მან. 89 კაბ. სულ ოც-და-ცხრა ათასი მან. სამოც-და-თერთმეტი კაბ.

ფუდინოვი, იაკ ნიკოლოზის-ძე. ორი სამ-სართულიანი სახლი ორი სამ-სართულიანი ფლიგელით 156 ოთხ-კუთხ. საფ. და 7 ადგილი მიწით. 6 ნაწილში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში ნორაშენის და სააზნაურო ქუჩ. კუთხეში. ძირითადი ვალი 17,435 მან. 21 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 1,158 მან. 74 კაბ, სულ თვრამეტ ათას ხუთას ოთხმოც-და-ცამეტი მან. და ოთხ-მოც-და-თუთხმეტი კაბ.

მესტიევი, სადიე ასკარ-მლლი ორ-სართულიანი სახლი, ერთ-სართულიანი მიშენებებითურთ 547 ოთხ-კუთხი საფ. მიწით 9 ნაწილში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში. ძირითადი ვალი 1,181 მან. 73 კ. გადაუხდელი ხარჯი 78 მან. 90 კ. სულ ათას ორას სამოც-და-ექვსი მან. და სამოც-და-სამი კაბ.

შკრბაჯი, ქლიტრატ მაქსიმის-ძე და ადელტი ალექსანდრის ასული სამ-სართულიანი ქვის სახლი, სარდაფით 144 1/2 ოთხ-კუთხ. საფ. მიწით 10 ნაწილში, 2 განყოფილებაში ქ. ტფილ. ძირითადი ვალი 1,488 მ. 75 კ. გადაუხდ. ხარჯი 81 მან. 58 კ. სულ ათას ხუთას სამოც-და-ათი მან. და ოც-და-ცამეტი კაბ.

ჭავჭავაძე, ნიკოლოზ და მიხეილ ზურაბის-ძენი. სახნაფი, საძოვარი და სათიბი ადგილი და ტყე 669 დეკ. და 180 ოთხ-კუთხ. საფ. მიწით. ტფილისის გუბერ. თიანეთის მაზ. საქავკავადოს აგარა და ნაკვეთი 2 ოთხ-წოდებისა. ძირითადი ვალი 2,459 მან, 57 კ. გადაუხდელი ხარჯი 116 მან. სულ ორი ათას ხუთას სამოც-და-თუთხმეტი მან. და ორმოც-და-ჩვიდმეტი კაბეტი.

ხიმშიაშვილი, ნიკოლოზ, ნინო და მარიამ ბიორგის ძენი და ქვრივი მკატერინე ბეჟანოვისა. სახნაფი და საძოვარი ადგილები 653 დეკეტ. 1820 ოთხ-კუთხი საფ. მიწით ტფილ. გუბერ. თიანეთის მაზრ. ანტკის-ხევის აგარაში. ძირითადი ვალი 4427 მან. 25 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 200 მან. 80 კაბ. ოთხი ათასი ექვსას ოც-და-რვა მან. ხუთი კაბ.

ალექსეევ, მესხიევი, მიხეილ დიმიტრის ძე. სამი ნაკვეთი მიწა 178 დეკ. 840 ოთხ-კუთხი საფ. მიწით ტფ. გუბ და მაზრ. სოფ. ახალდაბაში. ძირითადი ვალი 3935 მან. 31 კ. გადაუხდელი ხარჯი 189 მან. 60 კაბ. სულ ოთხი ათასი ას ოც-და-ოთხი მან. ოთხმოც-და-თერთმეტი კაბ.

ერასთავი, ბიორგი ბიორგის ძე სახნაფი და საძოვარი ადგილები 243 დეკეტ. 1263 ოთხ-კუთხი საფ. მიწით. ტფილ. გუბერ. თელავის მაზრაში, მისტაურის აგარაში. ძირითადი ვალი 7870 მან. 63 კაბ. გადაუხდ. ხარჯი 349 მ. 20 კაბ. სულ რვა ათას ორას ცხრამეტი მან. ოთხმოც-და-სამი კაბ

მადლაძისა, მარიამ დიმიტრის ასული სახნაფი, საძოვარი და სათიბი ადგილი 2867 დეკეტ. 562 ოთხ-კუთხ. საფ. მიწით. ტფილისის გუბერ. და მაზრაში სადახლოს, ჭოქყანის, მემო-წოფი, თოხლი-ქიმცა, არაბა-ტაგას, პალან-ტაკიან, ზადიტალა, ხუჯაბის, ლილვარის საძოვრების და ხუდი-ბანას წოდებით: არაბათაღას და ბულიბაღის აგარები. ძირითადი ვალი 49,477 მან. 5 კ. გადაუხდ. ხარჯი 3515 მან. 42 კაბ. სულ ორმოც-და-თორმეტი ათასი ცხრას ოთხმოც-და-ათი მან. ორმოც-და-შვიდი კაბ.

ციციშვილი, ძირილი მდიშერის ძე. სახნაფი და საძოვარი ადგილი და ტყე 847 დეკ. და 600 ოთხ-კუთხი საფ. ტფ. გუბ. და მაზრ. სოფ. ახალდაბაში (იგივე მამაი) ძირითადი ვალი თუთხმეტი ათასი რვაასი ოც-და-თორმეტი მან 65 კ. გადაუხდელი ხარჯი 893 მან. 68 კ. სულ თექვსმეტი ათასი შეიდას ოც-და-თერთმეტი მან. ოც-და-ცამეტი კაბ.

კარსკელი, ივანე ივანეს ძე. სახნაფი და საძოვარი ადგილი და ტყე 104 დეკ. 1200 ოთხ-კუთხ საფ. მიწით. ტფ. გუბ. და მაზრ. სოფ. ზოღეში. ძირითადი ვალი 2968 მან. 61 კ გადაუხდელი ხარჯი 180 მან. 42 კაბ. სულ სამი ათას ას ორმოც-და-ცხრა მან. სამი კ.

სოლდაჯი, იასე მინოსროს ძე. სახნაფი, საძოვარი და სათიბი ადგილი და ტყე როგორც საძოვარი 212 დეკ. და 150 ოთხ-კუთხი საფ. მიწა ტფ. გუბ. და მაზრაშივე მონასტერის უღანაში. ძირითადი ვალი 1984 მან. 55 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 94 მან. 80 კ. სულ ორი ათასი სამოც-და-ცხრამეტი მან. ოც-და-თუთხმეტი კაბ.

ჯამბაკურიან-არბელიანი, ალექსანდრე ივანეს ძე. სახნაფი და საძოვარი ადგილი 2189 დეკ. 1987 ოთხ-კუთხი საფ. ტფილისის გუბ. და მაზრაშივე წინააურის, ძასალარის, ბაშეჩეთის აგარებში. ძირითადი ვალი 34,729 მ. 55 კაბ. გადაუხდელი ხარჯი 1494 მან. სულ ოც-და-თექვსმეტი ათასი ორას ოც-და-სამი მან. ორმოც-და-თუთხმეტი კაბ.

ქუთათელაძე, მართა მცხეთის ასული. ტყე ზომით 203 დეკეტ. 450 ოთხ-კუთხ. საფ. ტფილისის გუბერ. თელავის მაზრ. ზემო-ნოდარენის აგარაში. ძირითადი ვალი 987 მ. 93 კ გადაუხდელი ხარჯი 52 მან. 40 კ. სულ ათას ორმოც-და-შვიდი მან. ოც-და-ცამეტი კ.

ერასთავი, ბრიგოლ პავლეს-ძე სახნაფ და საძოვარი ადგილი და ტყე ზომით 422 დეკეტ. 1160 ოთხ-კუთხი საფ. ტფილისის გუბ, შორის მაზრაში სოფ. ღვარებში. ძირითადი ვალი 3979 მან. 70 კ. გადაუხდელი ხარჯი 189 მან. 60 კ. ოთხი ათას ას სამოც-და-ცხრა მან. ოც-და-ათი კ.

თუშნაძისა ბარბაღე ივანეს ასული. ოპეკუნში სახნაფი ადგილი და ტყე 290 დეკ. 1502 ოთხ-კუთხ. საფ. ტფილისის გუბერ. და მაზრაშივე სოფ. წოდარეთში. ძირითადი ვალი 6923 მან. 35 კ. გადაუხდელი ხარჯი 300 მან. 19 კ. სულ შეიდას ათას ორას ოც-და-სამი მან. ორმოც-და-თორმეტი კაბ.